ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და EMBER პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს დევნილის სტატუსის მქონე თსუ-სა და საქართველოში აკრედიტებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების მკვლევარებისთვის (მესამე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

ember.tsu.ge

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**მკვლევარები**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
დოქტორის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს მკვლევარებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, არაუგვიანეს 2013 წლის 20 ნოემბრისა უნდა გაიარონ რეგისტრაცია თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში და დაწერონ B2 დონის ინგლისური ან მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული სხვა (გერმანული, იტალიური და ა.შ) ენის ტესტი. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!! საქართველოში აკრედიტებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების მკვლევარებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა წარადგინონ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ).
საკვლევი გეგმის მონახაზი	საკვლევი თემის სათაური, გეგმა, ძირითადი საკითხებით და მიზნებით, მეთოდოლოგიითა და ბიბლიოგრაფიით (დანართი 1)
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევის ხელმძღვანელის წერილი, კვლევის ხანგრძლივობის მითითებით, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის (შერჩევის

	შემთხვევაში)
CV	ევროპული ფორმატი
რეკომენდაციის წერილი (არ არის სავალდებულო)	მაქსიმუმ ერთი (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. სევილიის უნივერსიტეტი, ესპანეთი, პროექტის კოორდინატორი
2. ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
3. ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიტვა
4. ლინჩოპინგის უნივერსიტეტი, შვედეთი
5. მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი
6. კა'ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია
7. სალერნოს უნივერსიტეტი, იტალია
8. ლოდცის უნივერსიტეტი, პოლონეთი
9. იენის უნივერსიტეტი, გერმანია

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
https://emecw.gis.lu.se/priorityFields.aspx?location=all&lot=EMBER
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლივობა: 10 თვე
სტიპენდია მოიცავს 1800 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 15 იანვარი

დამატებითი ინფორმაციისა და ენის ტესტზე დასარეგისტრირებლად (თსუ-ს მკვლევარებმა) მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
(აუცილებლად იქონიეთ თან ცნობა სტატუსის შესახებ, ქართულ ენაზე)
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge